# თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
## №2

ქ. ქუთაისი 05 მარტი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

| | |
|---|---|
| დავით ანდღულაძე | –ქ. ქუთაისის მერის მოადგილე, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე. |
| კოტე რატიანი | – ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. |
| ლევან ჭანჭალეიშვილი | –ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი. |
| ვასილ მებურიშვილი | –ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი |
| ირაკლი გიორგაძე | – ქ. ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი. |

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში გაფრინდაშვილის და დავით ჯანელიძის ქუჩების სავალი ნაწილების კაპ შეკეთების (ბეტონით), ბუხაიძის ქუჩიდან ,,ცხაკაიას" სახელობის სამედიცინო ცენტრთან მისასვლელი ახალი გზის მშენებლობის (დაწნეხილი ფილებით), ი. ჭავჭავაძის გამზირზე ,,მაგდონალდსა" და ახალ სავაჭრო ცენტრს შორის, რკინიგზის №2 სადგურთან მისასვლელი გზის (დაწნეხილი ფილებით) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ.

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრის კოტე რატიანის გამოსვლა იმის თაობაზე, რომ ქალაქ ქუთაისში გაფრინდაშვილის და დავით ჯანელიძის ქუჩების სავალი ნაწილების კაპ შეკეთების (ბეტონით), ბუხაიძის ქუჩიდან ,,ცხაკაიას" სახელობის სამედიცინო ცენტრთან მისასვლელი ახალი გზის მშენებლობის (დაწნეხილი ფილებით), ი. ჭავჭავაძის გამზირზე ,,მაგდონალდსა" და ახალ სავაჭრო ცენტრს შორის, რკინიგზის №2 სადგურთან მისასვლელი გზის (დაწნეხილი ფილებით) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ კონკურსში (საკონკურსო განცხადება №336 27.02.2012წ.) განსაზღვრულ დროში არცერთი კონკურსანტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. შესაბამისად კონკურსი არ შედგა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ დავით ანდღულაძემ.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ: კოტე რატიანმა.

კომისიის წევრებმა: კოტე რატიანმა, ირაკლი გიორგაძემ და ლევან ჭანჭალეიშვილმა.

დაადგინეს:

1. ქალაქ ქუთაისში გაფრინდაშვილის და დავით ჯანელიძის ქუჩების სავალი ნაწილების კაპ შეკეთების (ბეტონით), ბუხაიძის ქუჩიდან ,,ცხაკაიას" სახელობის სამედიცინო ცენტრთან მისასვლელი ახალი გზის მშენებლობის (დაწნეხილი ფილებით), ი. ჭავჭავაძის გამზირზე ,,მაგდონალდსა" და ახალ სავაჭრო ცენტრს შორის, რკინიგზის №2 სადგურთან მისასვლელი გზის (დაწნეხილი ფილებით) საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული კონკურსი გამოცხადდეს არშემდგარად.

2. დაევალოს საკონკურსო კომისიას მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით, რათა კონკურსს მიანიჭოს სტატუსი – კონკურსი ,,არ შედგა".

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: დავით ანდღულაძე

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე